სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“

სამუშაო აღწერილობა	
1. ზოგადი ინფორმაცია	
სახელი და გვარი	
პოზიციის დასახელება	ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი
სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი
ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან	ხარისხის მართვის მენეჯერი
დაქვემდებარებული პერსონალი	სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი

2. ფუნქცია-მოვალეობები

- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა რეკრუტირება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩართვის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა და მათი ოჯახების კონსულტირება პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, მხარდაჭერა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ჩართვის პროცესში;
- საქართველოს განათლების,მეცნიერებისა და ახალგაზრდოლი სამინისტროს- სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის,ინკლუზიური და სპეციალური განათლების მხარდაჭერის ცენტრის- ფსიქო- საგანმანათლებლო შეფასებისა და კონსულტირების სპეციალისტთან აქტიური თანამშრომლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ზოგადსაგანმანათლებლო სისტემიდან პროფესიული განათლების სისტემაში გადამისამართების პროცესში;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა შეფასება მათი პროფესიული ინტერესების, წინა პროფესიული უნარ–ჩვევების დადგენის მიზნით;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფორიენტაციის განხორციელება პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად;
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა;
- შშმ და სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის საჭიროებიდან გამომდინარე ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება/მოდიფიცირება, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სასწავლო პროცესისა და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკის მენეჯერთან ერთად და შესათანხმებლად წარედგინება ხასიხსის მართვის მენეჯერს.
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებისთვის სწავლისას და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკისას ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა.

- პროფესიული განათლების მასწავლებელთა და სხვა სპეციალისტთა კონსულტირება და მხარდაჭერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებისთვის სწავლების პროცესში.
- მონაწილეობის მიღება კოლეჯში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკაზე, ინკლუზიური განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების დანერგვის პროცესში.
- კოლეჯში და სასწავლო/საწარმოო პრაქტიკაზე, დასაქმების ადგილებში, თემში ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის შესაბამისი აქტივობების ინიცირება/უზრუნველყოფა.
- შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის მართვისას მულტიდისციპლინური გუნდური მიდგომით და ეთიკური პრინციპების დაცვით მოქმედება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროცესის და განხორციელებული მხარდამჭერი აქტივობების დოკუმენტირება;
- კოლეჯის ადმინისტრაციის მხრიდან ინკლუზიური განათლების მხარდაჭერისთვის განსაზღვრული აქტივობების განხორციელება.
- დირექტორისთვის წერილობითი ანგარიშის წარდგენა წლის ბოლოს საკუთარი საქმიანობის შესახებ;
- დირექტორის მითითებით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში სხვა ფუნქციების და დავალებების შესრულება;
- ანგარიშვალდებულია კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერის წინაშე;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტის არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა ასისტენტი.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები	
განათლება	- უმაღლესი განათლება (სასურველია სპეც.მასწავლებელი,ოკუპაციური თერაპევტი,სოც.მუშაკი.)
სამუშაო გამოცდილება	- შესაბამის სფეროში არანაკლებ ერთ წლიანი გამოცდილება
კომპეტენციები	- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის ცოდნა.
უნარები	- გუნდური მუშაობის უნარი - შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა

4. სამუშაოს შესასრულებლად რეკომენდირებული კომპიუტერული პროგრამები და ენების ცოდნის დონე.	
კომპიუტერული პროგრამები	- საოფისე პროგრამების ცოდნა
ენები	- სახელმწიფო ენის ცოდნა

5. დამატებით ინფორმაცია	
სამუშაოს ადგილმდებარეობა	სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ#111 ან/და

სამუშაო პირობები	სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო 09:00 საათიდან -18:00 საათამდე, დასვენების დღეები საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეები. ყოველდღიური შესვენების დრო: 13 : 00 -14 : 00 სთ;	
სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები	➢ სამუშაო მაგიდა ➢ საკანცელარიო საშუალებები ➢ პერსონალური კომპიუტერი; ➢ სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი,)	
დასაქმებულის ხელმოწერა		თარიღი:
დამსაქმებლის ხელმოწერა		თარიღი: